ხელშეკრულება № 25/11

26 ნოემბერი 2013 წელი

ქ. ონი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „შემსყიდველი) , მდებარე ქ. ონში აღმაშენებლის მოედანი №1, წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შალვა ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ შპს "თეგეტა მოტორსი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ კოხოძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "თ" პუნქტის თანახმად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელზეც გაფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.**შესყიდვის ობიექტი**

შესყიდვის ობიექტია – ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებისთვის – "შკოდა"-სთვის ავტონაწილების ----------

---

შეძენა თანმდევი მომსახურებით (დანაყოფის კოდი 34300000).

3. **სახელშეკრულებო ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 470 (ოთხას სამოცდაათი) ლარს.

4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელ სამსახური, რომლის ფუნქციებია: მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება;

5. **საქონლის მიწოდების პირობები**

5.1. საქონლის მიწოდებას მომსახურებით უზრუნველყოფს საკუთარ სერვისცენტრში.

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს სასაქონლო ზედნადებსა ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას.

მუნიციპალიტეტის საკ... MUNICIPALITY CO...

7. გარანტია

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.2 მიწოდებული საქონლმა სატრანსპორტო საშუალების სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ უნდა გამოავლინოს დეფექტი;

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 5 დღისა განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.2 შემსყიდველი ვალდებულია: მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–6 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: მიიღოს მიწოდებული საქონლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია: მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანმხება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

გ) ერთ–ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით;

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავლისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ურთიერთმოლაპარაკებებით და შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების პირობების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე;

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ელ.ფოსტის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. სხვა პირობები

19.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

19.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

რეკვიზიტები

შემსყიდველი :

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

/შალვა ჯაფარიძე/

მის.: ქ. ონი, დ. აღმაშენებლის მოედანი №1

თელ.: 591 010333;

ს/კ 237978275 ანგ.:GE62LB0120115527055000

საქ. "ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი

ბ.კ. **LBRTGE22**

მიმწოდებელი:

შპს "ფუგეტა მოტორსი"

/თემურ კოხოძე/

მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. №5

ს/კ 202177205 ანგ.:GE80TB0600000024467853

სს "თიბისი ბანკი"

ბ.კ. **TBCBGE22**